

## ვაკანსიის № 72384

თანამდებობის დასახელება	მესამე რანგი - საჯარო დაწესებულების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
პოზიციის დასახელება	იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი
კონკურსის ტიპი	ღია კონკურსი
ორგანიზაცია	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
კატეგორია	იურიდიული
განცხადების ბოლო ვადა	16.07.2022
თანამდებობრივი სარგო	1430 ლარი
ადგილების რაოდენობა	1
სამსახურის ადგილმდებარეობა	წყალტუბო
სამუშაოს ტიპი	სრული განაკვეთი
გამოსაცდელი ვადა	12 თვე

### ფუნქციები

უზრუნველყოფს:

ა) მერის, მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და თანამდებობის პირების იურიდიულ კონსულტირებას და მერიის სამსახურების მიერ შემუშავებული სამართლებრივი აქტების პროექტების შესახებ სამართლებრივი დასკვნების მომზადებას;

ბ) მერიაში შემუშავებული სამართლებრივი აქტების პროექტების, ადმინისტრაციული გარიგებების, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების და სხვა დოკუმენტების მოქმედ კანონმდებლობასთან და მუნიციპალიტეტის ნორმატიულ აქტებთან მათი შესაბამისობის შესახებ რეკომენდაციების მომზადებას;

გ) მეთოდური დახმარების განწვევას მერიის საჯარო მოხელეებისათვის სამართლებრივი აქტების მომზადება-შესრულებაში;

დ) კანონებისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოძიებას და საჯარო მოხელეთათვის ოპერატიულ მიწოდებას;

ე) მინდობილობის საფუძველზე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლობას და კანონიერი ინტერესების დაცვას სასამართლოში, ასევე სამართლებრივ ურთიერთობებში სახელმწიფო ორგანოებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან.

ვ) განყოფილებაში შესული ადმინისტრაციული ორგანოების, ფიზიკური და იურიდიული პირების განცხადებების, მიმართვებისა და კორესპონდენციების განხილვას;

ზ) სასამართლოში წარსადგენი საპროცესო დოკუმენტაციის (სარჩელი, განცხადება, შუამდგომლობა, შესაგებელი, საჩივარი და ა.შ.) მომზადებას და კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში მათი წარდგენის უზრუნველყოფას სასამართლოში;

თ) სასამართლოში წარმომადგენლობის სრულყოფილად განხორციელების მიზნით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულებთან, ადმინისტრაციულ ორგანოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან ურთიერთობას, შესაბამისი მტკიცებულებების გამოთხოვასა და მოპოვებას;

ი) კომპეტენციის ფარგლებში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების ორგანიზებას და სამსახურის უფროსის გადაწყვეტილების პროექტების შეთანხმებასა და ვიზირებას;

კ) ბავშვის ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმის სამართლებრივ ექსპერტიზას;

ლ) ბავშვის/ოჯახის სამართლებრივი კონსულტირებას;

მ) მოქმედი კანონმდებლობით, მერიის დებულებით და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას.

2. ანგარიშვალდებულია განყოფილების უფროსის, სამსახურის უფროსისა და მერის წინაშე.

### მოთხოვნები

მინიმალური განათლება	უმაღლესი განათლება
სამუშაო გამოცდილება	1 წელი

### საკონკურსო თემატიკა

ა) საქართველოს კონსტიტუცია;

ბ) საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“

- გ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი (I-IV, VI, XIII თავები);  
 დ) საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;  
 ე) „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბერის №42 დადგენილება;

კომპიუტერული პროგრამები, ოპერაციული სისტემები

---

პროგრამის დასახელება	ცოდნის დონე
Microsoft Office Word	კარგი
Microsoft Office Excel	კარგი

საკონტაქტო ინფორმაცია

---

საკონკურსო კომისიის მისამართი	ქ. წყალტუბო, რუსთაველის N25
საკონტაქტო ტელეფონები	595085370
საკონტაქტო პირი	ნესტან კუჭავა

დამატებითი მოთხოვნები

---

სამუშაო გამოცდილება - სამართალმცოდნეობის სფეროში მუშაობის - 1 წელი;

1. ანალიტიკური აზროვნების უნარი;
2. გუნდური მუშაობის უნარი;
3. დამოუკიდებელი მუშაობის უნარი;
4. ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
5. საკუთარი საქმის დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი;
6. დროის ეფექტიანი მართვის უნარი.

დამატებითი ინფორმაცია

---

- კონკურსში მონაწილეობისათვის, კანდიდატი ვალდებულია განაცხადი წარადგინოს მხოლოდ ელექტრონული ფორმით, ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის ([www.hr.gov.ge](http://www.hr.gov.ge)) მეშვეობით; აუცილებელია კანდიდატმა შესაბამის ველში ატვირთოს:
- უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- შესაბამის სფეროში სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი სათანადო წესით გაფორმებული დოკუმენტი (უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული) /შრომის წიგნაკი;
- საბუთები წარდგენილ უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე (უცხოენოვანი საბუთის შემთხვევაში საჭიროა მისი ნოტარიალურად დამოწმებული თარგმანის წარდგენა).
- კანდიდატი ვალდებულია, საჯარო დაწესებულებას მიაწოდოს უტყუარი ინფორმაცია და დოკუმენტები საკონკურსო მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ;
- განცხადებების გადარჩევის შედეგად კონკურსანტი ვერ გადავა კონკურსის შემდეგ ეტაპზე თუ დოკუმენტები არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს ან არასრულყოფილად და/ან მოქმედ ნორმებთან შეუსაბამოდ იქნება წარმოდგენილი. კანდიდატს კონკურსის თითოეული ეტაპის შედეგების შესახებ ინფორმაცია ეცნობება აპლიკაციაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე.
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა, საქართველოს მოქალაქის პასპორტი, ან მართვის მოწმობა) გარეშე გამოცხადებული კანდიდატი ზეპირი დავალების ან/და გასაუბრების ეტაპზე არ დაიშვება.

გადანწყვეტილების მიღების ფორმა და ვადა

---

- კომისია გადანწყვეტილებას იღებს კენჭისყრის საფუძველზე, სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით განაცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში.

კონკურსის ეტაპები

---

- განცხადების გადარჩევა
- ზეპირი დავალება
- გასაუბრება